

შპს სოსათე
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2-3
საქმიანობის შედეგები	4-5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-15

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებ ო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	18706	27486	40066
სავაჭრო მოთხოვნები	89936	83919	61235
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	22818	3713	915
მარაგები			
- მზა პროდუქცია	49724	91011	91507
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით	50		50
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	238	574	1026
ძირითადი საშუალებები	155496	134131	147962
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	336968	340834	342761

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	35833	40790	117110
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		192	30
საგადასახადო ვალდებულებები	35782	33219	25368
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	115000	105000	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	594	413	107291
სულ ვალდებულებები	187209	179614	249799

საკუთარი კაპიტალი			
საქვით კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	149759	161220	92962
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	149759	161220	92962
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	336968	340834	342761

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	4 421 963	4 474 607
საქონლის გაყიდვიდან	4 407 299	4 453 231
მომსახურების გაწევიდან	8 304	12 214
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	6 360	9 162

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3 872 400)	(3 931 123)
საწყისი მარაგები	91 011	91 507
მარაგების შესყიდვა	3 831 113	3 930 627
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	49 724	91 011
საერთო მოგება	549 563	543 484

სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(218 664)	(214 866)
ცვეთა და ამორტიზაცია	(46 032)	(43 354)
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	(14 150)	(6 901)
იჯარის ხარჯი	(16 525)	(16 525)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(147 605)	(166 976)
სულ საოპერაციო ხარჯები	(442 976)	(448 622)

საოპერაციო მოგება	106 587	94 862
--------------------------	---------	--------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები	(1 928)	(290)
სხვა არაფინანსური აქტივები		

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		8
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	104 659	94 580
მოგების გადასახადი	(15 699)	(14 187)
მოგება/(ზარალი)	88 960	80 393

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	88 960	80 393

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	161 220	92 962
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(100 421)	(12 135)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	88 960	80 393
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	149 759	161 220

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებ ო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	171 842	32 167
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(81 072)	(29 954)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(99 550)	(14 801)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(8 780)	(12 588)
სავალუტო კურსის ეფექტი		8
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	27 486	40 066
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	18 706	27 486

შპს "სოსათე"-ს ფინანსურ ანგარიშებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ

შპს სოსათე (ს/ნ 236098263) რეგისტრირებულია "მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ (მცხეთის მუნიციპალიტეტი) 2009 წლის 28 სექტემბერს საქართველოში. საწარმოს იურიდიული მისამართია მცხეთის რაიონი სოფელი წილკანი. საწარმოს მფლობელია კახაბერ წოწინაშვილი (100%). საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს. შენატანი არ განხორციელებულა. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების საბითუმო რეალიზაცია დისტრიბუციით. დაქირავებული სასაწყობო ინფრასტრუქტურის მეშვეობით ხორციელდება პროდუქციის შენახვა და შემდეგ მათი დისტრიბუციის გზით რეალიზაცია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებზე სადისტრიბუციო მანქანების საშუალებით. საქმიანობის არეალს წარმოადგენს მცხეთა-მთიანეთის რეგიონი.

2. მომზადების საფუძვლები

2.1 შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად. საწარმოსათვის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული მეორე ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წ-ს 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შესადარის ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წ-ს 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ფასს ნაშთებს 2017 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადექვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

2.3 ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

3.1. აღრიცხვის საფუძვლები

სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი "მეწარმეთა შესახებ" და კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, მსს ფასს სტანდარტები, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების დაცვით ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამა "ორისი"-ში. საწარმო მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და

ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან. მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. საწარმო აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი ციკლის განმავლობაში.

მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში.

აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში.

დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში.

არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას საწარმო გრძელვადიან კატეგორიას აკუთვნებს.

3.2. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური - ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

საწარმოს კუთვნილი უცხოური ვალუტის - აშშ დოლარის კურსი ეროვნული ვალუტის მიმართ შეადგენდა 31.12.2017 წ-ს - 2.5922, 31.12.2018 წ-ს - 2.6766 და 31.12.2019 წ-ს - 2.8677. სხვა ვალუტაში ოპერაციები არ ფიქსირდება.

3.3. სავალუტე რისკი

საწარმოში ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მცირდება საბაზრო ფაქტორების გათვალისწინებით. კომპანია როგორც მე-3 კატეგორიის საწარმო არ აღიცხავს ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში, რადგან არ გააჩნია ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები.

3.4. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება.

შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარება მათი სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსა-

ვალში არ ჩაირთვება უკან დაბრუნებები.შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც:

საწარმომ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი .
რისკი და სარგებელი გადავიდა მყიდველზე

საწარმოს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი.

შესაძლებელია შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურებიდან

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურე-
ბა გაწეულია და ჩაბარებული მხარეთა მიერ

3.5. იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, როდესაც საწარმოს აქვს საიჯარო ხელსკრულება, რომლის მიხედვით აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა შემთხვევაში - საოპერაციო იჯარად. საწარმოს საიჯარო საწარმოს საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გარიგებები კლასიფიცირდება სა-
ოპერაციო იჯარად. შესაბამისად, საწარმოს იჯ-არით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯად, ხოლო ქვეიჯარიან მიღებული შემოსავლები - შემოსავალში შესაბამისი წლის მოგება-ზარალში.

3.6. ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგო-
მარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირე-
ბულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებო-
ბის შემთხვევაში. იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძი-
რითად საშუალებად და აღირიცხება ცალკე. იჯარაზე კაპიტალიზირებული ხარჯები იცვითება მათი სა-
სარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისათვის ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდ-
ით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის
მოსალოდნელ ათვისება. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისათვის
და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ძირ.საშ. ჯგუფის დასახელება	გამოყენების ვადა
ნაგებობები	10-20 წელი
დანადგარები	5-15 წელი
ავტოტრანსპორტი	5-10 წელი
სამაცივრე ტექნიკა და საოფისე ინვ.	5-10 წელი
იჯარით აღებ. ქონების კეთილმოწყობა	5-10 წელი

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და დაკორექტირდება საჭი-
რებისამებრ.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მა-

შინ, როცა მოსი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება არაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ (მისაღებ) წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალში.

3.7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის მიხედვით.

3.8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების, საბაჟოს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგი აისახება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.9. ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აღრიცხავს ბასს 39-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დიდწილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების,

გრძელვადიანი პროცენტის სესხების სამართლიანი ღირებულება ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, ანგარიშ გების თარიღისათვის არსებული საბაზრო განაკვეთებით, რომელთა სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წილი გადადის მესამე მხარეზე. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური ნიშნები ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ("ზარალის დადგომის შემთხვევა"), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნო შეფასებაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს

შესაბამისი თანხის გადახდის ვადას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახისფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა. საწარმო ჯგუფურად აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას. აქტივების საბალანსე ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში. მისაღები დებიტორები მათთან დაკავშირებულ რეზერვებთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, უზრუნველყოფის ყველა საგანი გადაცემული ან რეალიზებულია საწარმოსათვის. თუ მომდევნო წელს გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება, ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. ჩამოწერის ამოღების შემთხვევაში იგი აისახება მოგება-ზარალში.

3.10. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თარიღისათვის საწარმო აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთის შემთხვევაში საწარმო განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივების დაჟგუფება ხდება ინდივიდუალურად და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.11. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

3.12. კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელი მოგებას.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

2019 2018

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	4407299	4453231
--------------------------------	---------	---------

5. რეალიზაციის თვითღირებულება

2019 2018

გაყიდული საქონლის თვითღირებულება	3872400	3931123
----------------------------------	---------	---------

6. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები

2019 2018

შემოსავალი ქვეიჯარიდან	7440	5946
შემოსავალი უსასყიდლოდ(სასაჩუქრედ) მიღებული საქონელიდან	5526	9119
სხვა შემოსავალი	834	35
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	864	864
მოგება ძირ. საშუალების რეალიზაციიდან		
საკურსო სხვაობით მიღებული სარგებელი		8
შემოსავალი სარეკლამო, მარკეტინგული მომსახურებიდან		5404
	14664	21376

ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო
ხარჯები

7.

2019

2018

სარეკლამო ხარჯები		7067
შრომის ანაზრაურობა	218664	214866
საიჯარო ქირა	16525	16525
სატრანსპორტო (დისტრიბუციის) ხარჯები	80998	85917
ცვეთა	46032	43354
საოფისე ხარჯები	23149	24056
რემონტის ხარჯები	22712	41986
საპროცენტო ხარჯები ბანკის საგარანტიო მომსახურებაზე		4056
საპროცენტო ხარჯი სესხზე	14150	2845
საპენსიო ფონდის ხარჯები	2323	
ბანკის საკომისიო	4337	2664
სხვა საგადასახადო ხარჯი	2513	1532
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული ზარალი		
სხვადასხვა ხარჯი	427	265
დანაკლისის ხარჯი	6300	
იჯარით გაცემულ ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯი	4846	3351
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის გაუქმებით მიღებული ზარალი		
ქველმოქმედება		130
საქონლის გაუფასურების ხარჯი	1928	290
	444904	448904

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის. შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის დროებითი განსხვავებების გამო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს გააჩნდა გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის სახით. საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების შედეგად შეიცვალა მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმი. შესაბამისად, მოგების გადასახადის აქტივის გამოყენების შემთხვევაში მოიხსნება. საწარმომ აღნიშნული აღნიშნული აქტივის ჩამოწერა ასახა მოგება-ზარალში.

8. ფინანსური ხარჯი

2019

2018

მიღებული სესხი	10000	105000
გადახდილი სესხი		
დარიცხული საპროცენტო ხარჯი საბანკო სესხზე	14150	2845
გადახდილი საპროცენტო ხარჯი საბანკო სესხზე	14150	2845
საპროცენტო ხარჯი ბანკის საგარანტიო მომსახურებაზე		4056
გადახდილი საპროცენტო ხარჯი ბანკის საგარანტიო მომს-ზე		4056

ბანკის საკრედიტო ხელშეკრულებებში გარანტორს პირადი ქონების უზრუნველყოფით წარმოადგენს დამფუძნებელი. საგარანტიო ხელშეკრულება შეწყდა 2018 წლის 15 ოქტომბერს და ამავე თარიღიდან საწარმოს მიერ აღებული იქნა სესხი - "ოვერდრაფტი", რომელიც ერთწლიანი და ყოველი სახელშეკრულებო წლის გასვლის შემდეგ ექვემდებარება განახლებას.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2019 2018

სავაჭრო ვალდებულებები	35833	40790
ვალდებულება თანამშრომლის მიმართ		192
საგადასახადო ვალდებულება - დღგ	9296	4769
საგადასახადო ვალდებულება - პირობითი მოგების გადასახადი	26428	28450
საგადასახადო ვალდებულება - საშემოსავლო გადასახადი	25	
საგადასახადო ვალდებულება - ქონების გადასახადი	33	
მიღებული ავანსი	594	413

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში იგულისხმება მომწოდებლებისათვის გადასახდელი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომლებიც გაწეულია, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი წლის დასასრულს. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება წარმოადგენს დივიდენდის გაცემისას გადასახდელ მოგების გადასახადს, რომლის გაცემაც დაგეგმილია შესაბამის მომდევნო საანგარიშო პერიოდში.

10. მოგების გადასახადის აღრიცხვა

მოგების გადასახადი გაიანგარიშება 2017 წლიდან ესტონური მოდელის ახალი კანონით, საგადასახადო კოდექსის 98-ე პრიმა მუხლებით. საწარმო საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს სრულად განაწილების შემთხვევაში.

2019 2018

დარიცხული მოგების გადასახადი	15699	14187
------------------------------	-------	-------

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დარიცხული ფინანსური მოგების გადასახადის გადახდა ხორციელდება დივიდენდების გაცემისას. ხოლო სხვა დანარჩენ ოპერაციებზე დარიცხული "მოგების გადასახადი" აღირიცხება როგორც "სხვა საგადასახადო ხარჯი".

10. კაპიტალი

მფლობელის კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, რომლის აღიარებაც მოხდება მოხდება როგორც საწარმოში დამფუძნებლის შენატანი სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში. საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ განხორციელებულა. 2019 წლის 31 დეკემბერს მფლობელთა კაპიტალი წარმოდგენილია წმინდა მოგების სახით და შეადგენს 88960 ლარს.

11. დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად მისი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდი ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება.

12. ფულადი სახსრების აღიკვეთა

საწარმოში ოპერაციები ხორციელდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით. მოქმედებს მცირე სალაროს სისტემა.

ინფორმაცია ფულადი სახსრების თაობაზე

	2019	2018
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	15473	10358
ფულის ნაშთი ბანკში	3233	27128

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	5125897	5164480
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული თანხები	(4793542)	(5001883)
სხვა	(9007)	(2664)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	323348	34308
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(132673)	(125625)
გადახდილი მოგების გადასახადი	(18833)	(2141)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	171842	32167
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შესაძენისა და გაუმჯობესებისათვის	(82072)	(29954)
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	1000	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(81072)	(29954)
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სხებიდან	10000	180000
სესხის ძირის გადახდა		(75000)
სესხის პროცენტის გადახდა	(14150)	(6901)
დივიდენდის გადახდა	(95400)	(112900)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(99550)	(14801)
სავალუტე კურსის ეფექტი		8
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან გასვლა წლის განმავლობაში	(8780)	(12580)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისიდან	27486	40066
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	18706	27486

არ არის მატერიალური სხვაობა ფულის სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	89 936	83 919
გადახდილი ავანსები	22 818	3 713
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	112 754	87 632

დებიტორული დავალიანების ხვედრითი წილი წლების მიხედვით

თარიღი	მიწოდება	დებიტორული დავალიანება	ხვედრითი წილი
31.12.2017	4444803	61 235	1,38%
31.12.2018	4465445	83 919	1,88%
31.12.2019	4415603	89 936	2,04%

14. მარაგები

2019 2018

გადასაყიდად გამზადებული საქონელი	49 724	91 011
სულ მარაგები	49 724	91 011

15. გრძელვადიანი აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკითა და ფასს სტანდარტების გათვალისწინებით ქონება დაჯგუფებულია საქმიანობისა და გამოყენების ვადების მიხედვით.

ინფორმაცია გრძელვადიანი აქტივების ცვლილებაზე:

	ავტორიზაციის ნსპორტი	სამაცივრე საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ძირ. საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
1 იანვარი 2018 წელი	145056	26567	57876	71346	4728	305573
შეძენა	19606		6831	2634		29071
გასხვისება						
ჩამოწერა				(50)		(50)
31 დეკემბერი 2018 წელი	164662	26567	64707	73930	4728	334594
შეძენა			67069	1067		68136
გასხვისება	(3800)					(3800)
ჩამოწერა			(18323)	(5515)		(23839)
31 დეკემბერი 2019 წელი	160862	26567	113453	69482	4728	375092

ცვეთა და გაუფასურება:

1 იანვარი 2018 წელი	77290	20222	28425	26895	3703	156535
ცვეთის ხარჯი	21403	7173	10398	3928	452	43354
გასხვისებული ქონების ცვეთა						
31 დეკემბერი 2018 წელი	98693	27395	38823	30823	4155	199889
გასხვისებული ქონების ცვეთა	(2775)					(2775)
ჩამოწერილი ქონების ცვეთა			(18323)	(5515)		(23839)
ცვეთის ხარჯი	20325	7173	15158	3040	336	46032
31 დეკემბერი 2019 წელი	116243	34568	35658	28348	4491	219308